BPN
Business Professionals Network

ძლიერი მეწარმეობა საქართველოში

Nr. 1/ 2018

საინფორმაციო ცნობარის ამ გამოცემაში:

- თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველო ჩინეთს შორის
- იაფი სესხები, განათლება და ქოუჩინგი
- ბიზნეს აკადემია

მეგი მაისურაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საქართველო ჩინეთს შორის

ცნობილია რომ, მზარდი ექსპორტი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამდენად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები უკვე გაფორმებული აქვს ევროკავშირთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან. სავაჭრო ბაზრების დივერსიფიკაცია წარმოადგენს საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, სწორედ ამის შედეგია ის, რომ 2017 წლის 13 მაისს პეკინში ხელი მოეწერა საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო შეხვედრა თბილისში აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში, რომელსაც წინ უსწრებდა საქართველოს პარლამენტის მხრიდან აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია. შეხვედრაზე ორი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარ ასპექტებსა და პერსპექტივებზე ისაუბრეს და ჩინეთის მხარემ ოფიციალურად დაადასტურა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება ამოქმედდებოდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოსა და ჩინეთს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა.

2016 წლის მონაცემებით, ჩინეთი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის ბრუნვის მიხედვით მე-4 პოზი-ციაზეა, (მიმდინარე წლის ცხრა თვეში სავაჭრო ბრუნვამ 640,6 მლმ აშშ. დოლარზე მეტი შეადგინა) ხოლო ექსპორტის მიხედვით - მე-3 ადგილზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქ-ციის ექსპორტის ზრდა, როგორიცაა: ღვინო, სპირ-ტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური წყლები და სხვა.

ფოტოზე: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, დიმიტრი ქუმსიშვილი,



საქართველოს პრემიერ მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი და ჩინეთის რესპუბლიკის ოფიციალური მხარის წარმომადგენლები.

ბოლო პერიოდში შეინიშნებოდა ასევე ჩინური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოს ეკონომიკაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებები რეკორდულად მოკლე დროში, 7 თვეში, დასრულდა. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება, თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადავა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ექნება გაფორმებული.

და მაინც კონკრეტულად რას მოუტანს საქართველოს ეკონომიკას ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლა:

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარს გაუხსნის, რომელიც დაახლოებით 1,4 მილიარდ მომხმარებელს აერთიანებს, ქართველ მწარმოებლებს შესაძლებლობა ექნებათ, პროდუქცია ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ, ჩინეთში იმპორტირებული ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდება.

საექსპორტო პროდუქციას შორისაა ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ყველანაირი ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული და ასევე სამრეწველო პროდუქციებიდან სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, სარეცხის მანქანები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ.

შეთანხმება ძალიან მნიშვნელოვანი სტიმულია საქართველოში ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელების, მეწარმეობის განვითარებისა და ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდის თვალსაზრისით, რაც თავისთავად დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და უმუშევრობის შემცირების მაჩვენებელზე.

თუ გავეცნობით, იმ ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებს, ვისთანაც ჩინეთს უკვე აქვს აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებული, ვნახავთ, რომ ყველა ამ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ექსპორტისა და მოზიდული ინვესტიციების რეკორდულ ზრდას.

იმედია გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველოში მგავსი სტატისტიკური მონაცემები კიდევ უფრო მაშტაბური იქნება.

BPN Georgia ამ შეთანხმებას ოპტიმისტურად უყურებს და მასში დიდ შესაძლებლობებს ხედავს ადგილობრივი მეწარმეებისათვის. ჩინეთის 1,4 მილიარდ მომხმარებლიანი ბაზარი ქართველი მეწარმეებისათვის ახალი შესაძლებლობაა დაიმკვიდრონ ადგილი მსოფლიო ბაზარზე და საკუთარი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

იაფი სესხები, განათლება და ქოუჩინგი

„დაბალპროცენტიანი იაფი კრედიტები, განათლება და ქოუჩინგი მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის“ - ჩვენი და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრისტალის“ უახლესი შემოთავაზებაა.

ჩვენს კლიენტებთან შეხვედრისას მუდმივად ისმის კითხვა, გასცემს თუ არა BPN - ი კრედიტებს. მოხარული ვართ, რომ მიმდინარე წლის დასაწყისიდან უკვე შეგვიძლია დავუკმაყოფილოთ ეს სურვილი ჩვენს მომხმარებლებს.

24 იანვარს BPN - მა მიკრო საფინანსო ორგანიზაცია კრისტალთან ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა, რომლის თანახმადაც BPN - ის პროგრამაში ჩართული მეწარმეები და ბიზნესმენები კრედიტის საჭიროების შემთხვევაში კრისტალისგან შეღავათიან პირობებს მიიღებენ.

კრედიტის გაიაფება 11% და 14% მდე არის შესაძლებელი საკრედიტო თანხიდან გამომდინარე. წინაპირობა ამისთვის არის BPN - ის პროგრამის მონაწილეთა მხრიდან ბიზნეს გეგმის შედგენა, BPN - ის სემინარებში აქტიური მონაწილეობა, საჭიროების შემთხვევაში ქოუჩინგის შესაძლებლობის გამოყენება და გარკვეული ინტერვალებით მოგება ზარალის ანგარიშზე დაყრდნობით ბიზნესის წარმატების შესახებ მცირე მოხსენების ჩაბარება.

ვინც ამ შემოთავაზებით დაინტერესდება, მიიღებს BPN - ის პროგრამაში სემინარების სრულ ღირებულებაზე 120 ლარის ფასდაკლებას.

BPN - ი მოხარულია კრისტალთან პარტნიორობით, რადგან ეს არის ორმაგად მომგებიანი სიტუაცია, რომლითაც ისარგებლებს ყოველი მხარე: კრისტალი მიიღებს საწარმოო ეკონომიკის თვალსაზრისით სათანადოდ განათლებულ და სანდო დებიტორებს, BPN - ი კი კრედიტის კომპონენტის კომბინაციით ისეთ მეწარმეებს, რომელთაც ტრენინგების და ქოუჩინგის დახმარებით შეეძლებათ აღებული კრედიტის გონივრული გამოყენება და ღირებულებათა გამრავლება.

გსურთ მეტი შეიტყოთ „კრედიტის და ქოუჩინგის“ ერთობლივი პროდუქტის შესახებ?

დაგვიკავშირდით: info@bpngeorgia.ge

ტელ. 599 87 93 41. ჩვენ მოგაწვდით ინფორმაციას.

BPN-ისა და მიკრო საფინანსო ორგანიზაცია კრისტალის ერთობლივი შემოთავაზება

კრისტალთან პარტნიორობის ხელშეკრულების ხელმოწერა 2018 წლის 24 იანვარს

ს.ს. მისო კრისტალი ერთერთი წამყვანი არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტია, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ემსახურება 70,000-მდე მიკრომეწარმესა და ფერმერს და უზრუნველყოფს მათ მცირე სესხებითა და სხვა ფინანსური მომსახურებით. კომპანიას გააჩნია 57 ფილიალი და სერვის ცენტრი. მასში დასაქმებულია 900-ზე მეტი კვალიფიციური თანამშრომელი. კრისტალი ამჟამად განაგებს 200 მილიონ ლარზე მეტ საკრედიტო პორტფელს.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.crystal.ge

ბიზნეს აკადემია

„არის მხოლოდ ერთი რამ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო ძვირია, ვიდრე განათლება, ეს არის გაუნათლებლობა.“

ჯონ ფ. კენედი (1917 -1963)

სემინარი ბიზნესის ადმინისტრირება
30.04.18 - 01.05.18

ბიზნესის ადმინისტრირების სემინარზე თქვენ ხვდებით, როგორ უნდა გახდეს ხელოსანი მეწარმე. თქვენ სწავლობთ ბიზნეს გეგმის შევსებას, რომელიც ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. სემინარზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ასევე ბიზნეს ეთიკის საკითხებს.

სემინარი ფინანსური მენეჯმენტი
11.07.18 - 14.07.18

სემინარი გაგაცნობთ საწარმოს ფინანსური მართვის მნიშვნელოვან საკითხებს. უნდა და არის მონაცემებზე დაყრდნობით თქვენ სწავლობთ საწარმოს ოპტიმიზაციას და გაიაზრებთ ამორტიზაციის და სარეზერვო დანაზოგის მნიშვნელობას. საწარმოს მართვის კოკპიტი შეგიქმნით წარმოდგენას საწარმოში არსებულ

სემინარი დროის მენეჯმენტი
16.07.18 - 17.07.18

დროის მენეჯმენტის სემინარზე თქვენ სწავლობთ დროის მართვას ისე, რომ არ იყოთ მართული მის მიერ. სემინარი გეხმარებათ პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში და თქვენი მიზნის შესაბამისად პირადი სამუშაო დროის სწორად დაგეგმვაში. თქვენ სწავლობთ დროის ქურდებთან გამკლავებას გრძელვადიანად.

მარკეტინგის სემინარი
04.09.18 - 08.09.18

სემინარზე თქვენ ისწავლით როგორ უნდა დააყენოთ თქვენი მომხმარებლები მათი სურვილებით და მოთხოვნებით ყველა თქვენი საქმიანობის ცენტრში. თქვენ წარმოდგენა შეგექმნებათ სრულ მარკეტინგ-მიქსზე და შესძლებთ თქვენი საწარმოსთვის მარკეტინგის გეგმის შემუშავებას.

შესაძლებელია სემინარის თარიღების შეცვლა

რეგისტრაცია საიტზე www.bpngeorgia.ge ან ტელ. 599 87 93



BPN Georgia, გ. ახვლედიანი ქ. 5
0108 თბილისი
032 2 92 20 26, 599 87 93 41
info@bpngeorgia.ge